საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

3729-15-12-2-201904021230

N 15-12/3729
02/04/2019

საქართველოს გენერალური პროკურორს
ბატონ შალვა თადუმაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

(სისხლის სამართლის N025080124 საქმეში დაყადაღებულ ქონებაზე ყადაღის გაუქმების თაობაზე)

ბატონო შალვა,

რეკომენდაცია შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის ესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს N11750/18 განცხადებით მიმართა დ[redacted] ბ[redacted], რომლის განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დუშეთის სამმართველოში 2008 წელს დაიწყო გამოძიება დოკუმენტის გაყალბების შედეგად დუშეთის რაიონის სოფელ ჩანადირებში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე (საქმე N025080124). აღნიშნული საქმის ფარგლებში 2008 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით ყადაღა დაედო მიწის ნაკვეთებს, მათ შორის დ[redacted] ბ[redacted] მიწის ნაკვეთსაც (ს/კ71/27/08/208).

2018 წლის 15 აგვისტოს N15–12/10798 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2018 წლის 22 აგვისტოს უწყებიდან მიღებული N13/64454 წერილით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დუშეთის რაიონული სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის N025080124

საქართველო, თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი #150, ტელ.: (+995 32) 2234499;
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
150 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0112, Georgia, Tel.: (+995 32) 2234499;
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

საქმე, დოკუმენტების გაყალბების შედეგად საკუთრების უფლების მოპოვების ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე, გამოძიების შუამდგომლობის საფუძველზე მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით, ყადაღა დაედო დ[redacted] ბ[redacted] კუთვნილ მიწის ნაკვეთს. საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და მისი ამოწურვის შემდეგ მიღებული იქნება კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. 2018 წლის 20 სექტემბრის N13/71766 წერილის მიხედვით გვეცნობა, რომ N025080124 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს 1999 წელსა და 2006 წელს ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე.

2018 წლის 2 ნოემბერს N15–12/13889 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია. უწყებიდან მიღებული 2018 წლის 13 ნოემბრის N13/87762 წერილით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დუშეთის რაიონული სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის № 025080124 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, რომლის ფარგლებში შესაძლოა გამოიკვეთოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ნიშნები. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება პროკურორის უფლებამოსილებაა.

დ[redacted] ბ[redacted] მტკიცებით, 10 წელია ეზღუდება უფლება განკარგავდეს კუთვნილ მიწის ნაკვეთს.

სამართლებრივი დასაბუთება

საკუთრების უფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით და მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, მისი, როგორც ყველა დანარჩენი ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, თანაზომიერების პრინციპის დაცვით. ეს გულისხმობს, რომ საკუთრების უფლება, შესაბამისად, მესაკუთრის ინტერესები, არაპროპორციულად არ უნდა იზღუდებოდეს იმ ინტერესების ხარჯზე, რომელთა დაცვასაც ემსახურება საკუთრების უფლების შეზღუდვა კონკრეტულ შემთხვევაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით, ქონებას ყადაღა შეიძლება დაედოს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების ან ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. ხოლო იმავე კოდექსის 158-ე მუხლის მიხედვით, ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე.

სისხლის სამართლის #025080124 საქმეზე, დ[redacted] ბ[redacted] კუთვნილ მიწის ნაკვეთს ყადაღა დაედო 2008 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით და მას დღემდე ეზღუდება აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვის უფლება, რადგან მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით[1] გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც მიეკუთვნება მძიმე დანაშულის კატეგორიას. სისხლის სამართლის

[1] ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ"-პუნქტის მიხედვით, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ მძიმე დანაშულის ჩადენიდან გავიდა 10 წელი. აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" პუნქტის მიხედვით, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ გასულია სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადა.

სისხლის სამართლის საქმე N025080124 მიმდინარეობს 1999 და 2006 წლებში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებრივ საქმეებთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულის კატეგორიას (ამ დანაშაულს უფრო მძიმე კატეგორია არ გააჩნია). შესაბამისად, სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულიდან გასულია 10 წელზე მეტი, რის გამოც ქმედება ხანდაზმულია. აღნიშნულის მიუხედავად, მოცემულ საქმეზე კვლავ მიმდინარეობს გამოძიება და რაც მთავარია, დ[redacted] ბ[redacted] დღემდე ეზღუდება საკუთრების უფლება.

გამოძიება ემსახურება საჯარო ინტერესებს და ეს საჯარო ინტერესი მით უფრო მაღალია, როცა საქმე ეხება მძიმე დანაშაულის ჩადენას. თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადებს და მისი მიზანია სახელმწიფო რესურსების რაციონალური გამოყენება, გამოძიების ორგანოების ეფექტური, დროული მუშაობის უზრუნველყოფა. გამოძიების პროცესში შესაძლებელია იზღუდებოდეს არაერთი პირის უფლებები და ეს დასაშვებია მანამ, სანამ ამ უფლებათა შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად მიმდინარეობს (ან შეიძლება მიმდინარეობდეს) ქმედითი ღონისძიებები. გამოძიების უსასრულოდ გაგრძელება პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არამართლზომიერი, არაპროპორციული შეზღუდვის საფუძველი შეიძლება გახდეს.

როგორც პროკურატურიდან მიღებული წერილით გვეცნობა, N025080124 სისხლის სამართლის საქმეზე ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის მიუხედავად, გამოძიება კვლავ მიმდინარეობს, რადგან შესაძლებელია გამოძიებისას გამოიკვეთოს *სხვა დანაშაულის ნიშნები.* თუ მივიჩნევთ, რომ ახალი დანაშულის ნიშნების გამოვლენის ჰიპოთეტური შესაძლებლობა საკმარისია გამოძიების გაგრძელებისათვის, მაშინ ეს მიზეზი შესაძლებელია ყოველთვის საკმარისი აღმოჩნდეს, რომ გამოძიება ყოველ ჯერზე უსასრულოდ გაჭიანურდეს. ასეთ პირობებში მესაკუთრეს უსასრულოდ შეეზღუდება კუთვნილი მიწის ნაკვეთის განკარგვა, რაც პირდაპირ საკუთრების არსს აყენებს ზიანს. ასეთ პირობებში საპროცესო ღონისძიება ხდება თვითმიზნური და აღარ წარმოადგენს სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისთვის აუცილებელ საპროცესო ქმედებას.

1999 და 2006 წელს ჩადენილ სავარაუდოდ ჩადენილ მძიმე დანაშაულებთან მიმდინარე დანაშაულები 2019 წლისთვის ხანდაზმულია. შესაბამისად, მათ ფარგლებში შეზღუდული საკუთრების უფლებაც გაუმართლებელია და დაუშვებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ[redacted] ბ[redacted] საკუთრების უფლება იზღუდება არათანაზომიერად და აუცილებელია მისი საკუთრების ყადაღისგან გათავისუფლება.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ

რეკომენდაციით, უზრუნველყოთ დ[redacted] ბ[redacted] მიწის ნაკვეთისთვის (ს/კ71/27/08/208) ყადაღის მოხსნა.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი